ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3426523

ნომერი: AR1524461

თარიღი : 19.07.2017

გაცემის თარიღი : 02.08.2017

გაცნობის თარიღი : 31.10.2017

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ანნა პოლიტკოვსკაიას ქუჩა N4ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დავით სიხარულიძე პ/ნ 01023003590
- თბილისი სანზონა კორ. 10"ბ" ბ. 31

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2017 წლის 19 ივლისს AR1524461 განცხადებით მომართა დავით სიხარულიძემ, რომელმაც მოითხოვა ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურმა შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, ანა

პოლიტკოვსკაია (ყოფ.ჯიქია) N4-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.05.008.179, ფართობი: 1600 კვ.მ) კომერციული დანიშნულების შენობა–ნაგებობის განთავსების მიზნით დამტკიცდა მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 11 სექტემბრის №1471987 ბრძანებით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდაკომერციული დანიშნულების შენობა–ნაგებობა და ავტოტექმომსახურების ბოქსები, ფუნქციაში კი დაემატა საყოფაცხოვრებო.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 3 დეკემბრის №1624489 ბრძანებებით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში შევიდა კიდევ ერთხელ ცვლილება და საპროექტო ობიექტად დაფიქსირდა: კომერციული დანიშნულების შენობა-ნაგებობა, ავტოტექმომსახურების ბოქსები, არსებული შენობა–ნაგებობის (ავტოტექმომსახურეობა და საწყობი) რეკონსტრუქცია (მიშენება–დაშენებით), ფუნქციაში კი დაემატა დამხმარე.
ამჟამად, განმცხადებელი ითხოვს ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილებას, კერძოდ, საპროექტო ობიექტად მრავალფუნქციური ობიექტის, (კომერციული და საოფისე) დაფიქსირებას, რაც სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მიაჩნია.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შეტანილ იქნეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში და მშენებლობის სახეობად დაფიქსირდეს ახალი მშენებლობა;
2. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებში საპროექტო ობიექტად დაფიქსირდეს: მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა (კომერციული, და საოფისე);
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთი სამშენებლოდ გამოყენების პირობებიდან ამოღებულ იქნას ჩანაწერი რეკონსტრუქციასთან მიმართებაში;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ-ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 13 მაისის №1240241 გადაწყვეტილებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი ჟ. შარტავას ქუჩა №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.